



10297/3-2/21 2 08102021

10297/3-2/21
08-10-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგესხნებათ ახალი კორონავირუსის (COVID 19-ის) გავრცელებამ მძიმე გამოწვევების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო სექტორი. მოსწავლეებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უწევდათ დისტანციურად სწავლა. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ოთხი ოქტომბრიდან, სწავლა დასწრებულ რეჟიმში განახლდა. მაინტერესებს რამდენად არის მზად სკოლები სასწავლო პროცესის განახლებისთვის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით.

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად, მონიჭებული უფლების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რამდენ სკოლაში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012-2021 წლებში?
- რამდენ სკოლაში მიმდინარეობს ალდგენითი სამუშაოები ამჟამად?
- გვაქვს თუ არა ისეთი სკოლა, სადაც სასწავლო პროცესი ვერ განახლდა სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო და რამდენი?

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ჩაშლილად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონების ჭრილში.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3730-01-2-202111011442



N 01/3730

01/11/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუზარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2021 წლის 8 ოქტომბრის №10297/3-2/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №6092/01; 11.10.2021) პასუხად, გაცნობებთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





10924/3-2/21 2 04112021

10924/3-2/21

04-11-2021

საქართველოს განათლების მინისტრს მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

მოგესხნებათ ახალი კორონავირუსის (COVID 19-ის) გავრცელებამ მძიმე გამოწვევების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო სექტორი. მოსწავლეებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უწევდათ დისტანციურად სწავლა. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ოთხი ოქტომბრიდან, სწავლა დასწრებულ რეჟიმში განახლდა. მაინტერესებს რამდენად არის მზად სკოლები სასწავლო პროცესის განახლებისთვის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით.


შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად, მონიჭებული უფლების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რამდენ სკოლაში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012-2021 წლებში?
- რამდენ სკოლაში მიმდინარეობს ალდგენითი სამუშაოები ამჟამად?
- გვაქვს თუ არა ისეთი სკოლა, სადაც სასწავლო პროცესი ვერ განახლდა სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო და რამდენი?

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ჩაშლილად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონების ჭრილში.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 2 21 0001262300



24/11/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თეონა აქუზარდიას

ქალბატონო თეონა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 04 ნოემბრის N10924/3-2/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N1186875; 04.11.2021) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და დონორების მხარდაჭერით სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ხორციელდება ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა და არსებულთა რეაბილიტაცია. აღნიშნულის ფარგლებში 2012-2021 წწ. აშენდა 174 საჯარო სკოლის ახალი შენობა და სრულად რეაბილიტირდა 257 საჯარო სკოლის შენობა. აქვე აღსანიშნავია, რომ მათგან 2021-2022 წწ პერიოდში დასრულდება 16 ახალი სკოლის მშენებლობა და 56 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1754 საჯარო სკოლის შენობას და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს 67 საჯარო სკოლის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის 2018 წლის 2 თებერვლიდან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებები ნაწილობრივ დელეგირებულია მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისად, საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენა, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების პრეროგატივაა.


ასევე გაცნობებთ, რომ 2021-2022 სასწავლო წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი დაიწყო 15 სექტემბერს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული სინქრონული, ასევე ასინქრონული მოდელის გამოყენებით და 04 ოქტომბრიდან გაგრძელდა დასწრებით რეჟიმში, მხოლოდ 10 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი გაგრძელდა სრულად დისტანციური სწავლების მოდელით მიმდინარე

სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათგან 9 საჯარო სკოლაში დღეის მდგომარეობით სასწავლო პროცესი უკვე დასრულებითი სწავლებით მიმდინარეობს, ხოლო ერთ საჯარო სკოლაში განახლება დაგეგმილია 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან.

დანართი: "01" ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი



რეგიონი	ახალაშენებული	სრულად რეაბილიტირებული	ნაწილობრივ რეაბილიტირებული
აჭარა	29	15	31
გურია	17	15	113
თბილისი	8	29	195
იმერეთი	22	44	364
კახეთი	15	28	186
მცხეთა-მთიანეთი	6	13	97
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	4	5	53
სამეგრელო-ზემო სვანეთი	18	27	242
სამცხე-ჯავახეთი	18	21	148
ქვემო ქართლი	21	34	183
შიდა ქართლი	16	26	142
სულ	174	257	1754